ხარაგაულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს

დადგენილება N19

01 ივლისი 2019 წელი

დ.ხარაგაული 56-00

9 აპრილის ქუჩა #15

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო 2014 წლის14 ივლისის N17 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ"ცვლილების შეტანის თაობაზე

,,ნორმატიული აქტების შესახებ "საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი1. შეტანილი ქნეს ცვლილება ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის14 ივლისის N17 დადგენილებაში ,,ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ"(საქართველოს საკანონმდებლო მაცნე ვებგვერდი 17/07/2014 სარეგისტრაციო კოდი 010250050.35.128.016162)

1. შეტანილ იქნეს ცვლილება დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-13 მუხლის მე-3 პუნქტის „გ" ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

,,**გ)** ბორითის ადმინისტრაციული ერთეული (სამოქმედო ტერიტორია - სოფელი ბორითი, საქასრია, მაქათუბანი, უბისა, ერეთა, ვაშლევი, კვესრევი, ამაშუკეთი, ციხისძირი) . "

მუხლი 2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე